

თპუ  
ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს  
სხდომის ოქმი №18

თბილისი

25 ოქტომბერი 2013 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე, პროფ. ნინო ორმოცაძე, ასოც. პროფ. ელენე ნიკოზაძე .

სტუდენტები: მეგი ბირვაძე, ინნა დეისაძე.

სხდომის თავმჯდომარე: ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: გაიანე გრიგორიანი

დღის წესრიგი:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის, რაშად ჯაფაროვის, თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე, დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამაზე ჩარიცხვის საკითხი.

მოისმინეს: თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოცირებული პროფესორის ილონა საყვარელიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რაშად ჯაფაროვ არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, მან 2013 წელს დაამთავრა გოიგოლის რაიონის ა.მოილემოვის სახელობის სოფ. ხაგანის სრული საშუალო სკოლის სრული საშუალო განათლება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ოქტომბრის №790 ბრძანების საფუძველზე მან მოიპოვა სწავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აბიტურიენტის პირადი განცხადების საფუძველზე რაშად ჯაფაროვი ჩარიცხება თპუ-ში ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან პროგრამაზე.

აზრი გამოთქვას:

პროფესორმა ნ. ორმოცაძემ, პროფ. ტ. ზუბიაშვილმა, ასოც. პროფ. ელენე ნიკოზაძემ .

ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. რაშად ჯაფაროვს მიეცეს უფლება განახორციელოს სწავლა თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე, დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან პროგრამაზე 0 (ECTS) კრედიტის აღიარებით.
2. ეთხოვოს თპუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

ი.საყვარელიძე

სხდომის მდივანი:

გ. გრიგორიანი

